



ანტიკორუფციული ბიუროს 2025 წლის საქმიანობის ანგარიში





ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიმართვა

ძვირფასო კოლეგებო,

საქართველოსთვის, რომელიც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე დგას, კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლა არა მხოლოდ შიდა რეფორმაა, არამედ საგარეო პოლიტიკური იმპერატივი. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება და შემდგომი წევრობა პირდაპირ უკავშირდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემურ გაძლიერებას.

სწორედ ამ კონტექსტში 2022 წლის 30 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში, რის საფუძველზეც დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ანტიკორუფციული ბიურო. ეს იყო პასუხი ევროკომისიის 12-პუნქტიან რეკომენდაციებზე, რომელიც საქართველოს კანდიდატის სტატუსის მინიჭების წინაპირობად ასახელებდა ანტიკორუფციული ინსტიტუტის შექმნას. იმავდროულად, ბიურო არ იყო უბრალოდ ახალი უწყება - ეს გახლდათ კონცეპტუალური პასუხი უმნიშვნელოვანეს გამოწვევაზე - საქართველო გახდეს სანიმუშო ქვეყანა კორუფციასთან სისტემური ბრძოლის კუთხით.

ბიუროს დაარსებით განისაზღვრა საქართველოს ანტიკორუფციულ პოლიტიკაში ახალი პერიოდის დასაწყისი - ფრაგმენტული ზომებიდან სისტემურ, დამოუკიდებელ და მულტისექტორულ მიდგომაზე გადასვლის ეტაპი.

ბიუროს ისტორიული მისია განისაზღვრა როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა ყველა შესაძლო საშუალებით. მთავარი ფოკუსი გაკეთდა პრევენციის მიმართულებით, რადგან კორუფცია, როგორც სისტემური პრობლემა, საუკეთესოდ დაძლევადა არა მხოლოდ სასჯელით, არამედ გამჭვირვალობის, პასუხისმგებლობის და საზოგადოებრივი კონტროლის კულტურის ჩამოყალიბებით. სწორედ პრევენცია, გამჭვირვალობის, განათლებისა და ინსტიტუციური რეფორმის გზით - ქმნის გრძელვადიან იმუნიტეტს კორუფციის მიმართ.

ბიუროს თავდაპირველი დებულების მიხედვით მისი მიზნები მოიცავდა:

- ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, მონიტორინგსა და განახლებას;
- საჯარო დაწესებულებებში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებასა და პრევენციას;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მიღებას, შენახვასა და საჯაროობას;
- პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს;
- მამხილებელთა დაცვასა და მხარდაჭერას;



- საჯარო სამსახურში ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას კორუფციის საფრთხეებზე.

ბიუროს ინსტიტუციური მშენებლობა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

- 2023 წელი - სტრუქტურის ჩამოყალიბება, პერსონალის დაკომპლექტება, პროცედურების შემუშავება;
- 2024 წელი - ეროვნული სტრატეგიის განახლების დაწყება, მონიტორინგის მექანიზმების შექმნა;
- 2025 წელი - საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, დეკლარირების მოდერნიზაცია, ფინანსური მონიტორინგის გაძლიერება და საგანმანათლებლო პროექტების გაფართოება.

მთელი ეს პერიოდი იყო გამოწვევებით სავსე - ახალი ინსტიტუტისთვის საჭირო იყო არა მხოლოდ ადამიანური თუ ტექნიკური რესურსები, არამედ საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება. მით უმეტეს, რომ ბიუროს საქმიანობის დასაწყისი საქართველოს თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ფუნდამენტურად გარდამტეხ პერიოდს დაემთხვა, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვანი პოლარიზაციისა და გარე ძალების მიერ სოციალური განწყობების შექმნის აქტიური მცდელობების ფონზე მიმდინარეობდა.

ჩვენმა გუნდმა კორუფციასთან სისტემური ბრძოლის გზაზე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგა - გავაძლიერეთ ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია, გავხადეთ პოლიტიკური ფინანსები უფრო გამჭვირვალე, შევქმენით სისტემა, რომელმაც ათასობით თანამდებობის პირის ქონება გახადა ხილული, გავაძლიერეთ მამხილებელთა დაცვის მექანიზმი, განვაახლეთ ეროვნული სტრატეგია და საქართველოს საზოგადოებას ვაჩვენეთ - კორუფცია არ არის დაუძლეველი.

ახლა, ინსტიტუციური ცვლილებების ფონზე, ეს ანგარიში მოწმობს, რომ ჩვენი მიღწევები არ ქრება - ისინი ხდება სახელმწიფო სისტემის განუყოფელი ნაწილი.

რაჟდენ კუპრაშვილი

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი



ეს ანგარიში ასახავს ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის საბოლოო შედეგებს და აერთიანებს იმ ძირითად სისტემურ ცვლილებებს, რომლებიც ბიუროს ფუნქციონირების პერიოდში ჩამოყალიბდა. ბიუროს საქმიანობა მიმართული იყო კორუფციის პრევენციის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებისკენ და ეფუძნებოდა ისეთ ინსტიტუციურ მექანიზმებს, რომლებიც საჯარო მმართველობაში კორუფციის რისკების სისტემურ შემცირებას უზრუნველყოფს.

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების მიმართულებით ბიურომ ფორმალურ კონტროლზე ორიენტირებული მიდგომა პრევენციულ და ხარისხზე ორიენტირებულ მოდელად გარდაქმნა. დაინერგა დეკლარაციების წინასწარი შემოწმება და მომხმარებელზე ორიენტირებული მხარდაჭერა, რის შედეგად მონაცემები გასაჯაროებამდე გადამოწმდება სახელმწიფო რეესტრებთან შედარებით. ამ ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა დეკლარაციებში წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა და გააძლიერა გამჭვირვალობა საჯარო სამსახურში.

დეკლარაციების მონიტორინგის პროცესში გამოწვევად დარჩა დამოუკიდებელი კომისიის დაკომპლექტება, რაც წინა წლების მსგავსად 2024-2025 წლებშიც ვერ განხორციელდა და შეზღუდა შემოწმებას დაქვემდებარებულ პირთა რაოდენობა. გასულ წელს წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელ კომისიაში გაწევრების პირობებად „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილების საფუძველზე განისაზღვრა რომ აკადემიური წრის წარმომადგენელი კომისიის წევრი შეიძლება იყოს პირი:

- ა) რომელიც არ არის „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირის ოჯახის წევრი ან/და ახლო ნათესავი;
- ბ) რომლის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა/არ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- გ) რომელიც არ არის სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურე.

ერთი და იგივე პირი კომისიის წევრად არ შეიძლება არჩეულ იყოს ზედიზედ 2-ჯერ.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი კომისიის დაკომპლექტების არსებული წესები მიზნად ისახავს მიუკერძოებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას, პრაქტიკაში განსაზღვრული კრიტერიუმები ზედმეტად შემზღუდველად მოქმედებს და ვერ უზრუნველყოფს კომისიის რეალურ დაკომპლექტებას. მოთხოვნათა ერთობლიობა მნიშვნელოვნად ზღუდავს პოტენციურ კანდიდატთა წრეს, რის შედეგადაც ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება შესაბამისი პირების შერჩევა და კომისიის დროული ფორმირება.

პარალელურად, ელექტრონული შერჩევის მოქმედი მოდელი ვერ უზრუნველყოფს მონიტორინგის მიზნობრივობას და არ ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკას. აღნიშნული გარემოებებისა და საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, ბიურომ დაიწყო თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის მონიტორინგის რეფორმა და შეიმუშავა



რისკებზე დაფუძნებული შერჩევის მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს რესურსის კონცენტრაციას მაღალი რისკის შემთხვევებზე და ზრდის მონიტორინგის შედეგიანობას. რეფორმის მდგრადი განხორციელებისთვის აუცილებელია მისი საკანონმდებლო განმტკიცება.

პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის უფლებამოსილების ბიუროსთვის გადაცემის ეტაპზე არ არსებობდა ქმედითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა პარტიების ფინანსური ანგარიშების სისწორისა და სიზუსტის ეფექტიან შემოწმებას. 2024 წლის მაისში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შექმნა მონიტორინგის უფრო ძლიერი და ეფექტიანი ინსტრუმენტები, რამაც გააძლიერა ფინანსური საქმიანობის კონტროლი და საზოგადოებისთვის სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის მიმართულებით ბიუროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენდა პირის საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტად გამოცხადება და მასზე კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების გავრცელება. აღნიშნულმა მექანიზმმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც რთულდებოდა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების საქმიანობასა და პარტიულ აქტივობას შორის მკაფიო გამიჯვნა და იზრდებოდა კანონის გვერდის ავლის რისკი.

პოლიტიკური ფინანსების უწყვეტი მონიტორინგის ფარგლებში ბიურომ დაადგინა სუბიექტები, რომელთა საქმიანობა რეალურად ემსახურებოდა პოლიტიკურ მიზნებს, და მათზე გაავრცელა პარტიებისთვის კანონით დადგენილი რეგულაციები, რითაც შეიზღუდა პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების წესების გვერდის ავლის შესაძლებლობა.

- 2024 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებებით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით დადგენილი ნორმები გავრცელდა 2 ფიზიკურ პირზე:

1. ნიკანორი მელია;
2. ნიკა გვარამია.

ბიუროს 2024 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებებით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით დადგენილი ნორმები გავრცელდა 25 ფიზიკურ და 2 იურიდიულ პირზე:

ფიზიკური პირები:

1. აზა გაბუნია;
2. არჩილ მჭედლიშვილი;
3. არჩილ ჟორჟოლიანი;
4. ბაკურ კვაშილავა;
5. გიორგი შაიშმელაშვილი;



6. დავით გზირიშვილი;
 7. დავით ჯინჭარაძე;
 8. ზურაბ ფარჯიანი;
 9. თამარ მიქელაძე;
 10. ირაკლი ქობალია;
 11. ირინე კურტანიძე;
 12. ირმა ზოიძე;
 13. მათე ჩაფიჩაძე;
 14. მარინე გულედანი;
 15. მიხეილ მუმლაძე;
 16. ნათია ხარატი;
 17. ნატო სლეპაკოვა;
 18. ნიკა ხომასურიძე;
 19. ნინო შენგელია;
 20. რევაზ აფხაზავა;
 21. როლანდ შავაძე;
 22. სიმონ ჯანაშია;
 23. შენგელი ტოხოსაშვილი;
 24. ლაშა უჩავა;
 25. ლევან ცუცქერიძე;
- იურიდიული პირები:
1. ა(ა)იპ „თავისუფლების მოედანი - საქართველო“;
 2. ა(ა)იპ „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“
 - 2024 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებებით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით დადგენილი ნორმები გავრცელდა 10 ფიზიკურ და 2 იურიდიულ პირზე;

ფიზიკური პირები:

1. ეკა გიგაური;



2. ხათუნა ლაგაზიძე;
 3. ლელა ჯეჯელავა;
 4. გიორგი პაპელიშვილი;
 5. ნიკოლოზ შურღია;
 6. შალვა ძეგისაშვილი;
 7. გიორგი თაქთაქიშვილი;
 8. სოფიკო ჭყონია;
 9. ივანე ჭყონია;
 10. გიორგი რუხაძე;
- იურიდიული პირები:

1. ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“;
2. ა(ა)იპ „აირჩიე ევროპა“

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებების შემდეგ სუბიექტების უმრავლესობამ საქმიანობა პოლიტიკური პარტიების ფარგლებში გააგრძელა.

მიზანშეწონილია აღნიშნული მექანიზმის შემდგომი გაძლიერება და მისი საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება, რათა თავიდან იქნეს აცილებული პოლიტიკური პროცესების უცხოური დაფინანსება, მათ შორის კრიპტოვალუტის გამოყენებით.

ანტიკორუფციული ბიუროს შექმნისთანავე, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის 20¹⁵-ე მუხლის შესაბამისად, მას დაეკისრა ანტიკორუფციული პოლიტიკის განსაზღვრის წინადადებების შემუშავება და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის პროექტების მომზადება. ანტიკორუფციული სტრატეგიის მიზანია პრევენციული მექანიზმების შექმნა, რომლებიც ხელს უშლის სამართალდარღვევებს და ავლენს ინსტიტუციურ სისუსტეებს საჯარო უწყებებში. აღნიშნულს საფუძვლად უდევს ეფექტიანი სამოქმედო გეგმა და პროცესების დიგიტალიზაცია, რომელზეც ბიურო მუშაობდა, რაც მომავალში კორუფციული რისკების კიდევ უფრო შემცირებას შეუწყობს ხელს.

ფუნქციონირების დაწყებიდან მალევე ბიუროს დაეკისრა საჯარო სამსახურში ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით პროგრამების შემუშავება და განხორციელება, აგრეთვე ეთიკის ნორმების დაცვის პრაქტიკის შესწავლა, განზოგადება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. ეთიკური ქცევის პრინციპების დაცვა მიზნად ისახავს კორუფციის პრევენციასა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფას; საჯარო ინტერესის პრიორიტეტულობა და უფლებამოსილებების კეთილსინდისიერი განხორციელება აძლიერებს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას და ზრდის საზოგადოების ნდობას საჯარო ინსტიტუტების მიმართ.



2024 წელს ჩატარებული სიტუაციური ანალიზის საფუძველზე ბიურომ განსაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები და დაიწყო შიდა სტრატეგიის ფორმირება. მანდატის ამოქმედებისთანავე დაიწყო საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება GRECO-ს რეკომენდაციებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, რის ფარგლებშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნამდე წინასწარი კონტროლის მექანიზმისა და ქმედითი ეთიკის კოდექსის დანერგვას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს გადაცდომათა გამოვლენას, ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენციას და აძლიერებს საზოგადოების ნდობას საჯარო სექტორის მიმართ. რეკომენდაციების შესრულების მიზნით, გასულ წელს ბიურო აქტიურად თანამშრომლობდა შესაბამის საჯარო უწყებებთან.

2025 წელს ანტიკორუფციულ ბიუროს დაევალა „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ აღსრულება, რის ფარგლებშიც განისაზღვრა რეგისტრაციის პროცედურები და ჩამოყალიბდა შესაბამისი ადმინისტრაციული ჩარჩო. სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განხორციელდა უცხო სახელმწიფოების პოლიტიკისა და საქართველოს მიმართ მათი სტრატეგიული ინტერესების ანალიზი და აშშ-ის გამოცდილების, შესწავლა. რეფორმის სწორი აღქმის უზრუნველსაყოფად ბიურო თანამშრომლობდა დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და განხორციელდა შესაბამისი კომუნიკაცია, რამაც ხელი შეუწყო ნდობის შენარჩუნებას კანონის ამოქმედების პერიოდში. მოკლე დროში შეიქმნა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, ვებ გვერდი და ჩამოყალიბდა მათი პრაქტიკული გამოყენების პროცედურები. ბიუროს მიდგომა ეფუძნებოდა მაღალი სტანდარტის მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ამავე წელს ბიურომ კიდევ ერთი უფლებამოსილება შეიძინა. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ბიურო უცხოური გრანტის გაცემისა და მიღების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყება გახდა. ახალი მანდატების ფარგლებში, უცხოური გრანტებისა და უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის მიმართულებით, მოკლე დროში შეიქმნა შესაბამისი რეესტრები და ჩამოყალიბდა მათი პრაქტიკული გამოყენების პროცედურები. შედეგად, პირველად გაჩნდა ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სფეროების რეგულირებას და საჯარო კონტროლს. ცვლილებების მიზანი იყო კეთილსინდისიერი ორგანიზაციებისა და ექსპერტების დაცვა და რეგულირების გამჭვირვალედ განხორციელება. ბიურო უზრუნველყოფდა კანონის სუბიექტებთან ღია კომუნიკაციას და შექმნა საჯარო ვებგვერდი, სადაც ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია გრანტების, საქმიანობის მიზნებისა და ვადების შესახებ. აღნიშნულმა გააძლიერა მოქალაქეთა ინფორმირებულობა და გამჭვირვალობა, ხოლო ასევე ხელი შეუწყო შესაძლო დარღვევების გამოვლენას.

მამხილებლის დაცვის მანდატი ანტიკორუფციულ ბიუროს 2023 წლის 1 სექტემბრიდან გადაეცა. აღნიშნული უფლებამოსილება წარმოადგენს კორუფციის პრევენციის ერთ-ერთ ეფექტიან მექანიზმს, რადგან ქმნის უსაფრთხო არხს საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით ინფორმაციის მიწოდებისთვის და ამცირებს დარღვევების დაფარვის რისკს ადმინისტრაციულ სისტემაში. მამხილებლის დაცვის მიმართულებით ამოქმედდა უსაფრთხო



ელექტრონული პლატფორმა და შეტყობინების მრავალარხიანი სისტემა, რამაც გააძლიერა დარღვევების გამოვლენის შესაძლებლობა და გაზარდა დაცვის გარანტიები. პარალელურად, ანტიკორუფციული განათლების პროგრამებმა ხელი შეუწყო საჯარო სექტორში პრევენციაზე დაფუძნებული მიდგომების დამკვიდრებას. მამხილებლის დაცვის რეალური და ეფექტიანი მექანიზმის უზრუნველსაყოფად მომზადდა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ითვალისწინებს მამხილებლის როგორც იურიდიულ, ისე ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. მიზანშეწონილია, კვლავაც გაგრძელდეს მამხილებლის ინსტიტუტის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებები. საჯარო სექტორის ყველა სტრუქტურაში დაინერგოს მამხილებლის ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის, ასევე მხილების განცხადების მიღებისა და მასზე რეაგირების წესი, სადაც გათვალისწინებული იქნება, ერთის მხრივ, მამხილებლის უსაფრთხოებისა და დაცვის მექანიზმები, ხოლო მეორეს მხრივ, უწყების ეფექტური ფუნქციონირების უწყვეტობა.

ასევე მნიშვნელოვანია, მხილების სისტემის მიმართ ნდობის გაძლიერების მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის იმპლემენტაცია მომავალშიც გაგრძელდეს საქართველოს გეოგრაფიული თუ საზოგადოების ეთნიკურ-კულტურული თავისებურებათა გათვალისწინებით.

საანგარიშო პერიოდის შედეგები წარმოადგენს იმ მექანიზმების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ გარემოს. ბიუროს საქმიანობის ამ ფორმით დასრულების მიუხედავად, შექმნილი სისტემები, პრაქტიკა და დაგროვილი გამოცდილება საჭიროებს შემდგომ გაძლიერებასა და განვითარებას და წარმოადგენს საფუძველს კორუფციის პრევენციის პოლიტიკის გაგრძელებისა და ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნებისთვის საჯარო სექტორში.



I. ბიუროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება
„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის 20^წ მუხლის შესაბამისად, ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება.

ბიურო უზრუნველყოფდა აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტების ეფექტიან შესრულებას და, ამ მიზნით, ახორციელებდა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კოორდინაციას.

ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავების მიზანი არის არა მხოლოდ ცალკეული ანტიკორუფციული ღონისძიებების დაგეგმვა, არამედ ისეთი სისტემური ჩარჩოს შექმნა, რომელიც კორუფციის პრევენციას უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის სხვადასხვა დონეზე და პროცესს გახდის გაზომვადს, პროგნოზირებადსა და შედეგზე ორიენტირებულს.

1.1. სიტუაციური ანალიზის ფარგლებში განხორციელებული კვლევები

ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის საწყის ეტაპზე, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ყოვლისმომცველი ბუნებიდან გამომდინარე, ბიურომ ჩაატარა ის ძირითადი სამუშაოები და კვლევები, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ეფექტიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

კვლევების ფარგლებში იდენტიფიცირებული და შესწავლილი იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, დასკვნები, რეკომენდაციები, საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტული სამართალი და სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა, ეროვნულ დონეზე შესაბამისი უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები/დასკვნები და ნორმატიული მასალა, სამეცნიერო ნაშრომები და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები.

კვლევების შედეგების გათვალისწინებით, ანტიკორუფციული ბიუროს ანტიკორუფციული პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადდა შემდეგი დოკუმენტები:

- საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის პროექტი;



- საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2025 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი;
- საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2025 წლის დეტალური სამოქმედო გეგმის პროექტი;

ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის პროექტზე მუშაობა წარიმართა ორი მიმართულებით. ერთი მხრივ, სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ანტიკორუფციული ბიუროს მანდატიდან გამომდინარე კორუფციის პრევენციისათვის მნიშვნელოვანი სფეროები, მათ შორის: თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობისა და ინტერესთა შეუთავსებლობის კონტროლი და მონიტორინგი, მამხილებელთა დაცვის მექანიზმების გაძლიერება, საჯარო სამსახურში ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების ხელშეწყობა, კორუფციული რისკების შეფასების სისტემის დანერგვა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

მეორე მხრივ, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სექტორული პრიორიტეტების გათვალისწინებით, აგრეთვე ჩატარებული ანალიზისა და შესწავლილი მასალების საფუძველზე, გამოიკვეთა კორუფციის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი სფეროები და იდენტიფიცირდა ძირითადი გამოწვევები, რომლებიც აღნიშნულ მიმართულებებში საჭიროებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დამატებით და მიზანმიმართულ ძალისხმევას.

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2025 წლის სამოქმედო გეგმაში კვლევების შედეგად გამოვლენილ პრობლემებსა და გამოწვევებზე საპასუხოდ განისაზღვრა შესაბამისი მიზნები და აქტივობები.

1.2 კორუფციული რისკების შეფასების სისტემის დანერგვა

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა უნდა დაეფუძნოს კორუფციული რისკების შეფასების შედეგებს. ამ მიზნით, ევროსაბჭოს ექსპერტთან ერთად შემუშავდა კორუფციული რისკების შეფასების სახელმძღვანელო, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მიდგომას და წარმოაჩენს ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას.

ამავე დროს, მომზადდა კითხვარები საპილოტე უწყებებში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების გამოსავლენად და საჭიროების შემთხვევაში, პრაქტიკული სირთულეების იდენტიფიცირებისთვის. კითხვარი მოიცავს კორუფციისადმი მოწყვლად სფეროებს, მათ შორის: ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმებს, მხილებას, სახელმწიფო შესყიდვებს, საბიუჯეტო დაგეგმარებასა და სახსრების ხარჯვას და სხვა.

1.3 ექსპერტთა ბანკი და საერთაშორისო ექსპერტების შერჩევის ზოგადი პრინციპები

საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ბიურომ საქმიანობის ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბა ექსპერტთა ნუსხა, რომელიც აერთიანებს ანტიკორუფციულ სფეროში მოქმედ სპეციალისტებს. აღნიშნულ ექსპერტებს აქვთ როგორც



საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ევროპის ქვეყნებთან მუშაობის გამოცდილება, ასევე რეგიონისა და ქვეყნის კონტექსტის ცოდნა.

ამასთანავე, განისაზღვრა ზოგადი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შეფასდება ექსპერტის კომპეტენციისა და გამოცდილების შესაბამისობა ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის მიზნებთან.

1.4 სიტუაციის ანალიზის უნიფიცირებული კითხვარი საჯარო დაწესებულებებისთვის

შემუშავდა ახალი სიტუაციური ანალიზის კითხვარი, რომელიც მოიცავს საჯარო მმართველობის ძირითად მიმართულებებს: კეთილსინდისიერებას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, ინსტიტუციურ გაძლიერებას, სისტემური კორუფციის პრევენციასა და საზოგადოებრივ ჩართულობას.

კითხვარი მომზადდა შესაბამისი გამოცდილების მქონე უწყებების - სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის ჩართულობით.

2. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების უზრუნველყოფა

ანტიკორუფციული პოლიტიკის ფარგლებში საჯარო სამსახურში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს წარმოადგენს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების სისტემა. აღნიშნული ინსტიტუტი ქმნის საფუძველს საჯარო მოხელის საქმიანობის კეთილსინდისიერების კონტროლისთვის და უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, ანტიკორუფციული ბიუროს მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენს აღნიშნული სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

დეკლარირების სისტემა ერთდროულად ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, მათ შორის:

- ქონების შეძენის კანონიერებისა და კეთილსინდისიერების კონტროლს;
- სამსახურებრივი და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევების გამოვლენასა და პრევენციას;
- ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- საზოგადოების ნდობის გაძლიერებას და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი განსაზღვრავს დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებასა და შესაბამის ვადებს.

საქართველოში თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის დეკლარირება მიმდინარეობს 1998 წლიდან, 1997 წელს მიღებული კანონის — „საჯარო



სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (შემდგომში — „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი) — საფუძველზე.

ანტიკორუფციული ბიუროს ხედვა დეკლარირების მიმართულებით ეფუძნებოდა ფორმალურ კონტროლზე ორიენტირებული მიდგომიდან პრევენციულ და ხარისხზე ორიენტირებულ მოდელზე გადასვლას. მთავარი მიზანი იყო დეკლარაციების სისწორის უზრუნველყოფა მათ გასაჯაროებამდე, რათა შემცირებულიყო ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული დარღვევების რაოდენობა და რესურსი მეტად არსებითი სამართალდარღვევების გამოვლენასა და პრევენციაზე მიმართულიყო.

ამ მიდგომით დეკლარირების სისტემა აღარ აღიქმებოდა მხოლოდ სანქციების ინსტრუმენტად, არამედ კეთილსინდისიერების ხელშემწყობ მექანიზმად, რომელიც უზრუნველყოფს თანამდებობის პირისთვის ინფორმაციის დაზუსტების შესაძლებლობას, ხოლო საზოგადოებისთვის - სანდო და გადამოწმებულ მონაცემებზე ხელმისაწვდომობას.

შედეგად, დეკლარირების პროცესის დახვეწა მიზნად ისახავდა როგორც ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებას, ისე გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდას საჯარო სამსახურში.

ბიუროს ხედვები და მიდგომები საკანონმდებლო დონეზეც განმტკიცდა. კერძოდ, 2024 წლის 29 მაისს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე (ამოქმედდა 2024 წლის 9 სექტემბერს) განისაზღვრა, რომ თანამდებობის პირის მიერ წარდგენილი დეკლარაცია გამოქვეყნებამდე გადის წინასწარ შემოწმებას - ხდება დეკლარირებული მონაცემების შედარება სახელმწიფო უწყებების მიერ ადმინისტრირებულ ბაზებსა და რეესტრებში არსებულ ინფორმაციასთან და კანონთან შესაბამისობის დადგენა.

ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში თანამდებობის პირს ეძლევა მისი აღმოფხვრის შესაძლებლობა კანონით განსაზღვრულ ვადაში, რის შემდეგაც ბიურო უზრუნველყოფს დაკორექტირებულ დეკლარაციის საჯაროობას.



2025 წლის თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია წარადგინა 7 539 თანამდებობის პირმა, ათ შორის

დანიშვნის საფუძველით	1 048 თანამდებობის პირმა
მოქმედა	5 601 თანამდებობის პირმა
გათავისუფლდა	395 თანამდებობის პირმა
ყოფილა	465 თანამდებობის პირმა
დაჯარიმების საფუძველით	17 თანამდებობის პირმა
მოსამართლეობის კანდიდატმა	13 თანამდებობის პირმა

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ცხელ ხაზზე დეკლარაციის შევსებასთან დაკავშირებით დაფიქსირდა 12 269 დამუშავებული ზარი.

ცხელი ხაზის მეშვეობით დეკლარანტებთან დაკავშირების 1 742 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო ონლაინ დახმარების საშუალებით - 1 306 მომართვა.

საანგარიშო პერიოდში გადამოწმდა 6 686 დეკლარაცია; ხარვეზის შესახებ შეტყობინება გაეგზავნა 4 427 დეკლარანტს.

2025 წელს დეპარტამენტში შემოვიდა პირთა თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლებისა და თანამდებობრივი გადაადგილების შესახებ 10 746 ოფიციალური კორესპონდენცია.

ამავე პერიოდში მომზადდა და გაიგზავნა თანამდებობის პირის დეკლარაციის წარდგენისთვის საჭირო რეკვიზიტების შემცველი 10 296 წერილი.

3. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს თანამდებობის პირის მიერ წარმოდგენილი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ მონაცემების სისრულისა და სისწორის გადამოწმება, აგრეთვე ინტერესთა შეუთავსებლობისა და შესაძლო კორუფციული სამართალდარღვევების გამოვლენა და პრევენცია.

მონიტორინგი იწყება შემდეგი საფუძვლებით:

- დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიერ თანამდებობის პირთა შემთხვევითი შერჩევა (საერთო რაოდენობის 5%);



- დასაბუთებული წერილობითი განცხადება;
- ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის მიერ შერჩეული სახელმწიფო-პოლიტიკური და სხვა განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვრული თანამდებობის პირები (საერთო რაოდენობის 5%);
- დეკლარაციის შემოწმების პროცესში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამისი დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი.

2025 წლის 07 თებერვალს დეკლარაციების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დაცვით შერჩეულ იქნა 2025 წელს შესამოწმებელი 344 თანამდებობის პირი, რაც წარმოადგენს თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 5%-ს.

მონიტორინგის დაწყების საფუძველზე შერჩეულ თანამდებობის პირებს შორის მონიტორინგი დაიწყო 338 პირის მიმართ. 6 დეკლარაციის შემთხვევაში მონიტორინგი არ განხორციელდა, ვინაიდან 5 პირს 2025 წელს დეკლარაცია წარმოდგენილი არ ჰქონდა ან არ მიეკუთვნებოდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის განსაზღვრულ თანამდებობის პირთა წრეს, ხოლო ერთი პირის მიმართ მონიტორინგის პროცესი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე შეწყდა.

ბიუროში შემოსული დასაბუთებული წერილობითი განცხადებების საფუძველზე, ასევე დეკლარაციის წარდგენიდან ერთთვიან ვადაში გამოვლენილი ხარვეზის აღმოუფხვრელობის გამო, მონიტორინგი დაიწყო 29 თანამდებობის პირის მიმართ.

2025 წელს მონიტორინგის პროცედურები დასრულდა 367 თანამდებობის პირის მიმართ, კერძოდ:

- 298 თანამდებობის პირის მონიტორინგი დასრულდა დადებითი შედეგით;
- 63 თანამდებობის პირის მონიტორინგი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

კანონით გათვალისწინებული საფუძველების შესაბამისად მონიტორინგის პროცედურები შეწყდა 6 თანამდებობის პირის მიმართ.

2025 წელს დაწყებული მონიტორინგიდან მიმდინარეა იმ თანამდებობის პირთა დეკლარაციების მონიტორინგი, რომლებსაც დეკლარაციების შევსების ვალდებულება წარმოეშვათ 2025 წლის ბოლო სამ თვეში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი); კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, თანამდებობის პირის მიერ წარდგენილი დეკლარაცია გადის კანონთან შესაბამისობის შემოწმების ორთვიან წარმოებას და ნაცვლად 48 საათისა, დეკლარაცია ქვეყნდება შევსებიდან 2 თვის თავზე. ვინაიდან მონიტორინგს ექვემდებარება გამოქვეყნებული დეკლარაცია, აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია დეკლარაციების გარკვეული ნაწილის მონიტორინგის პროცესის გადასვლა 2026 წელს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მონიტორინგის დაწყების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის გადაწყვეტილებით შერჩეული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური და განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირები.



2025 წლის 3 ნოემბერს ბიუროს უფროსის ბრძანებით განისაზღვრა წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევის მიზნით დამოუკიდებელი კომისიის შექმნისთვის განცხადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები და წევრობის პირობები, რის შესახებაც ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდა. მიუხედავად ბიუროს მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა, კომისიის დაკომპლექტება ვერ მოხერხდა, ვინაიდან წარმოდგენილი კანდიდატურებიდან არცერთი აკმაყოფილებდა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნული გარემოებებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2024 და 2025 წლებში კომისიის დაკომპლექტება ვერ მოხერხდა, რამაც შეამცირა მონიტორინგს დაქვემდებარებულ პირთა რაოდენობა, ბიურომ, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფისა (GRECO) და გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის (UNCAC) რეკომენდაციების შესაბამისად, დაიწყო მუშაობა მონიტორინგის დაწყების საფუძვლების ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით, განხილულ იქნა რისკების შეფასებაზე დაფუძნებული შერჩევის პროცედურის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის ეფექტიანობის ზრდასა და შედეგზე ორიენტირებული მიდგომების დამკვიდრებას.

4. პოლიტიკური პარტიების ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი

4.1. პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მიზნები და ამოცანები:

პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა წარმოადგენს დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს და ემსახურება საზოგადოების წინაშე პოლიტიკური პროცესების ანგარიშვალდებულების განმტკიცებას. ამ მიზნის ფარგლებში, ანტიკორუფციული ბიურო ახორციელებდა პარტიების, საარჩევნო სუბიექტებისა და საარჩევნო მიზნის მქონე პირთა ფინანსური საქმიანობის კანონიერებისა და შესაბამისობის შეფასებას მოქმედ კანონმდებლობასთან.

განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იყო ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ამომრჩევლის ინფორმირებული არჩევანის უზრუნველყოფის ხელშეწყობისკენ.

4.2. ანგარიშვალდებულება და საჯაროობის უზრუნველყოფა

ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების ფორმები უზრუნველყოფდა პოლიტიკური სუბიექტების ფინანსური საქმიანობის ძირითადი კომპონენტების ერთიან სტანდარტს, ანგარიშების წარმოდგენის პერიოდულობასა და მათი გამჭვირვალობის წესებს.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ბიურო უზრუნველყოფდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების საჯარო ხელმისაწვდომობას ოფიციალურ



ვებგვერდზე და ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზეც, ასევე უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდა პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტებისა და საარჩევნო მიზნის მქონე პირთა ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, სისტემატიზაციასა და შემოწმებას.

2025 წელს ბიუროში 52 პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილ იქნა 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდის წლიური საფინანსო დეკლარაციები. ბიურომ შეისწავლა აღნიშნული დეკლარაციების სისწორე და იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც გამოუვლინდათ ხარვეზები, გაეგზავნათ წერილები მათი აღმოსაფხვრელად. წერილებში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, პარტიებმა წარმოადგინეს 2024 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციების კორექტირებული ვერსიები.

ბიუროს მიერ წარსულში არაერთხელ იქნა გაანალიზებული პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმების ეფექტიანობა. სიტუაციურ ანალიზსა და უწყვეტი მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ პოლიტიკური სუბიექტები არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით აქტივობებს ხშირად იწყებდნენ არჩევნების დანიშვნის დღემდე მნიშვნელოვნად ადრე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ პერიოდისთვის მოქმედი პრაქტიკის შესაბამისად და საარჩევნო კამპანიის ფინანსების გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, პარტიებსა და საარჩევნო სუბიექტებს გაეგზავნათ მოთხოვნები დამატებითი ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, კერძოდ:

- პოლიტიკურ პარტიებს — 2025 წლის 1 იანვრიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდის სრული ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენა (I საანგარიშო პერიოდი);
- საარჩევნო სუბიექტებს — 2025 წლის 1 ივნისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის სრული ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენა (II საანგარიშო პერიოდი).

ბიუროს მოთხოვნის შესაბამისად:

- პირველ საანგარიშო პერიოდზე, 24-მა პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინა ფინანსური ინფორმაცია;
- მეორე საანგარიშო პერიოდზე, 13-მა საარჩევნო სუბიექტმა წარმოადგინა ფინანსური ინფორმაცია.

პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო სუბიექტების მიერ, ბიუროში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების საჯაროობა უზრუნველყოფილია და მათი ხილვა ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ, შესაძლებელია ბიუროს ვებგვერდის monitoring.acb.gov.ge საშუალებით.

4.3. 2025 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების ფინანსური მონიტორინგი



მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, საარჩევნო სუბიექტად საბოლოოდ დარეგისტრირდა 12 პოლიტიკური პარტია და 36 დამოუკიდებელი კანდიდატი, კერძოდ:

პოლიტიკური პარტია:

1. მპგ „გირჩი“
2. მპგ „თავისუფალი საქართველო“
3. მპგ „მწვანეთა პარტია“
4. მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
5. მპგ „ქართული ოცნება“
6. მპგ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“
7. მპგ „კონსერვატორები საქართველოსთვის“
8. მპგ „მამული, ენა, სარწმუნოება“
9. მპგ „სახალხო ხელისუფლება“
10. მპგ „გახარია საქართველოსთვის“
11. მპგ „საქართველო“
12. მპგ „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“

დამოუკიდებელი კანდიდატი:

1. მარეხ ჩოფიკაშვილი;
2. ვალერი გელაშვილი;
3. ოდიშერ ლაგვილავა;
4. კახაბერ ცისკარიძე;
5. ზურა ჯავახიშვილი;
6. იასინ ალაგეზოვი;
7. სარკის ოგანესიანი;
8. ცისმარი მჭედლიშვილი;
9. გიორგი თანიაშვილი;
10. ბახვა გელაშვილი;
11. ოთარ არბოლიშვილი;
12. ელიშ მკრტიჩიანი;
13. გიგა ლობჯანიძე;
14. ალექსანდრე ციცქიშვილი;
15. დავითი ისაკაძე;
16. ბიეტორ სირბილაძე;
17. ერეკლე კვეტენაძე;
18. შოთა გაფრინდაშვილი;
19. მერაბი ბამგარაძე;
20. დემურ კვიციანიძე;
21. ლერი ჩუბინიძე;
22. გიორგი მეხუზლა;



23. თეიმურაზ გოგუაძე;
24. იაშა შათირიშვილი;
25. გენო მიმინოშვილი;
26. დათო ხელაია;
27. ზაურ ჯახუა;
28. გოგიტა ჯანჯღავა;
29. თინათინი თოდუა;
30. თეონა გოგობია;
31. ბაკურ ხორავა;
32. ნარგიზა ბერიძე;
33. მალხაზ ბერიძე;
34. ბადრი მელაძე;
35. მერაბ ვაშაყმაძე;
36. ნუგზარ გორგილაძე.

წინასაარჩევნო კამპანიის გამჭვირვალედ წარმართვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 25 აგვისტოს №4 ბრძანების („პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ“) შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტებისთვის განისაზღვრა საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების წარმოდგენის გრაფიკი.

კერძოდ, საარჩევნო სუბიექტები ვალდებული იყვნენ, არჩევნების დანიშვნის დღიდან ყოველ 3 კვირაში ერთხელ, ბიუროს მიერ დამტკიცებული ფორმით წარმოედგინათ შესაბამისი ფინანსური ანგარიში დადგენილი პერიოდულობით:

- 2025 წლის 5 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით პერიოდზე – 2025 წლის 28 აგვისტომდე;
- 2025 წლის 26 აგვისტოდან 15 სექტემბრის ჩათვლით პერიოდზე – 2025 წლის 18 სექტემბრამდე;
- 2025 წლის 16 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდზე - 2025 წლის 7 ოქტომბრამდე;
- 2025 წლის 5 აგვისტოდან 4 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდზე – 2025 წლის 18 ოქტომბრამდე (იმ საარჩევნო სუბიექტების მიერ, რომლებმაც წინასწარი მონაცემებით მიიღეს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობა).
- ინფორმაცია 2025 წლის 5 აგვისტოდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე - შედეგების გამოქვეყნებიდან ერთ თვეში (არჩევნებში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა),



ასევე აუდიტორული დასკვნა, თუ საარჩევნო კამპანიის ხარჯი აღემატება 10 000 (ათი ათასი) ლარს.

საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშები, ბიუროში წარმოადგინა 46-მა საარჩევნო სუბიექტმა.

ბიურომ შეისწავლა საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების სისწორე, რის შემდეგაც უზრუნველყოფილი იქნა მათი გასაჯაროება. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე — monitoring.acb.gov.ge.

4.4. შემოწირულებათა მონიტორინგი

პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულებების კანონიერებისა და გამჭვირვალობის შესწავლის მიზნით, ბიურომ შეამოწმა 9 პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ, 2025 წელს განხორციელებული შემოწირულებების კანონიერება და გამჭვირვალობა, რა მიზნითაც შემოწმდა შემომწირველი 703 ფიზიკური პირის ფინანსების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ:

	პარტია	შემომწირველთა რაოდენობა
1	ქლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!	382
2	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	294
3	„კოალიცია ავტონომიური რაიონებისთვის გვარაშენი ძელინ ბირჩი დრო“	13
4	გახარია საქართველოსთვის	7
5	ქვემოთა ხმები - დრო	3
6	ხალხის ძალა	1
7	ანა დოლიძე - ხალხისთვის	1
8	ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა	1
9	კონსერვატორები საქართველოსთვის	1



5. გრანტების მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიში

2025 წლის 16 აპრილს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით ანტიკორუფციულ ბიუროს მიენიჭა უცხოური გრანტის გაცემისა და მიღების მონიტორინგის ახალი უფლებამოსილება.

ანტიკორუფციული ბიუროს ხედვა უცხოური გრანტების მონიტორინგის მიმართულებით დაეფუძნა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას ისე, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო როგორც საზოგადოების ინფორმირების ინტერესი, ასევე კანონის მოთხოვნების თანმიმდევრული და სამართლიანი აღსრულება. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისას ბიუროს ამოცანა იყო არა მხოლოდ კონტროლის მექანიზმის ამოქმედება, არამედ ისეთი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობდა სამართლებრივ სიცხადეს და ერთგვაროვან ადმინისტრაციულ მიდგომას.

ამ მიზნით პრიორიტეტულად განისაზღვრა კანონმდებლობის მოთხოვნების შესახებ სუბიექტების წინასწარი ინფორმირება და განმარტება, რათა მონიტორინგს ჰქონოდა პრევენციული და არა მხოლოდ რეაგირების ფუნქცია. ასევე, ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებისა და ინფორმაციის ერთიან სივრცეში თავმოყრისთვის შეიქმნა და დაინერგა ელექტრონული რეესტრი. მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა კომუნიკაციაზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც გულისხმობდა ორგანიზაციებთან უშუალო ურთიერთობას მონიტორინგის დაწყებამდე და მიმდინარეობისას და ინფორმაციის ნებაყოფლობით წარმოდგენის ხელშეწყობას. სამართლებრივი პროგნოზირებადობის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ იქნა თანაბარი და ობიექტური კრიტერიუმები, ხოლო ანალიტიკური დამუშავების საფუძველზე ჩამოყალიბდა პრაქტიკა და სტანდარტიზდა ადმინისტრაციული პროცედურები.

მანდატის ამოქმედებისთანავე ბიურომ დაიწყო ინტენსიური საორგანიზაციო და საინფორმაციო საქმიანობა, რათა უზრუნველყოფილიყო ახალი რეგულაციების ერთგვაროვანი გაგება და მათი პრაქტიკაში დანერგვა.

ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართა შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან - 2025 წლის 2-3 ივლისს ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა ორგანიზაციამ. ასევე, 2025 წლის 7 ივლისს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით გაიმართა შეხვედრა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.



უფლებამოსილების ეფექტიანი განხორციელებისთვის ბიურომ შეიმუშავა „უცხოური გრანტების რეესტრი“ (grants.acb.gov.ge), რომლის საშუალებითაც გრანტის მიმღებ სუბიექტებს მიეცათ შესაძლებლობა კანონით განსაზღვრული მონიტორინგი გაეწეოს შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოდგენით. 2025 წლის მდგომარეობით რეესტრში ატვირთულია 59 საგრანტო ხელშეკრულება, ხოლო 700-ზე მეტ ორგანიზაციასთან დამყარდა პირდაპირი კომუნიკაცია მონიტორინგისთვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით.

ბიურო პარალელურად ახორციელებდა გრანტის მიმღებთა მუდმივ მონიტორინგსა და ანალიტიკურ დამუშავებას, მათ შორის იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ბიუროს ინფორმაციით უცხოურ გრანტს იღებდნენ, თუმცა რეესტრში რეგისტრაციაზე უარს აცხადებდნენ. საერთო ჯამში მონიტორინგს დაექვემდებარა 378 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საიდანაც 284 ორგანიზაციასთან დაკავშირებით დაიწყო საქმისწარმოება. ინფორმაციის გამოთხოვა განხორციელდა კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მათ შორის 129 შემთხვევაში - სასამართლო ზედამხედველობით.

6. უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის აღსრულება

2025 წელს ანტიკორუფციულ ბიუროს დაევალა „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ აღსრულება. აღნიშნული მანდატის ფარგლებში განისაზღვრა რეგისტრაციისა და ადმინისტრირების პროცედურები და ჩამოყალიბდა შესაბამისი ადმინისტრაციული ჩარჩო.

ბიუროს მიდგომა ეფუძნებოდა სამართლებრივი სიცხადისა და პროგნოზირებადობის უზრუნველყოფას, სუბიექტებისთვის ვალდებულებების განმარტებასა და ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. პრიორიტეტად განისაზღვრა რეგისტრაციის პროცესის სტანდარტიზაცია, ერთიანი პრაქტიკის ფორმირება და კომუნიკაციაზე დაფუძნებული ადმინისტრირება.

მანდატის განხორციელების მიზნით შეიმუშავდა რეგისტრაციის ფორმები, შეიქმნა ელექტრონული ადმინისტრირების მექანიზმი და დაინერგა განაცხადების მიღებისა და დამუშავების პროცედურები. პარალელურად მიმდინარეობდა საინფორმაციო და საკონსულტაციო საქმიანობა დაინტერესებულ პირებთან, უზრუნველყოფილი იყო განმარტებების გაცემა და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება.

ბიურო ახორციელებდა განცხადებების ფორმალურ და შინაარსობრივ შემოწმებას, აგროვებდა შესაბამის ინფორმაციას და ატარებდა მონიტორინგის ღონისძიებებს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

მანდატის განხორციელების პროცესში გამოვლინდა ახალი სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევები, მათ შორის ნორმების განმარტების საჭიროება, ვალდებულებების განსხვავებული აღქმა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობა.



მიუხედავად შეზღუდული ვადებისა, ჩამოყალიბდა რეგისტრაციისა და მონიტორინგის ფუნქციონირებადი ადმინისტრაციული მექანიზმი და დაიწყო ერთგვაროვანი პრაქტიკის ფორმირება.

მანდატის დანერგვის პროცესში ბიურომ შეისწავლა და თარგმნა უცხოური რეგულირების პრაქტიკა, მათ შორის აშშ-ის სამართლებრივი აქტი Title 28 C.F.R. Part 5 (Judicial Administration). პარალელურად მომზადდა განმარტებითი მასალები, ინსტრუქციები და საინფორმაციო დოკუმენტები, ასევე შემუშავდა საკონსულტაციო დასკვნების მომზადების მიდგომა.

ბიუროს მონაწილეობით მომზადდა პირველი საკონსულტაციო დასკვნა, რომლის ფარგლებში ჩამოყალიბდა შეფასების სამსაფეხურიანი კუმულაციური ტესტი. ასევე განხორციელდა ოფიციალური ფორმებისა და დანართების შემუშავება, ხშირად დასმული კითხვების მომზადება და საინფორმაციო მასალების გავრცელება დაინტერესებული მხარეებისთვის.

კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ პირებთან. დამატებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროში საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით.

7. მამხილებელთა დაცვის დეპარტამენტი

მამხილებლის დაცვის მანდატი ანტიკორუფციულ ბიუროს გადაეცა 2023 წლის 1 სექტემბრიდან. აღნიშნული უფლებამოსილება წარმოადგენს კორუფციის გამოვლენის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან პრევენციულ მექანიზმს, რადგან იგი ქმნის უსაფრთხო შესაძლებლობას საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით ინფორმაციის მიწოდებისთვის და ამცირებს დარღვევების დაფარვის რისკს ადმინისტრაციულ სისტემაში.

ბიუროს ხედვა ეფუძნებოდა იმ პრინციპს, რომ მხილების მექანიზმი ეფექტიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უზრუნველყოფს მამხილებლის უსაფრთხოებას, პროცესის კონფიდენციალურობას და სწრაფ რეაგირებას. შესაბამისად, პრიორიტეტად განისაზღვრა სანდო და ტექნოლოგიურად დაცული გარემოს შექმნა, სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა არსებული პლატფორმის ფუნქციონირების ხარვეზები, რის შემდეგაც განხორციელდა მხილების სისტემის სრული მოდერნიზაცია. შეიქმნა ახალი ელექტრონული ვებპორტალი, რომელიც უზრუნველყოფს განცხადების წარმოდგენას ღია, ანონიმური ან კონფიდენციალური ფორმით, უსაფრთხო კომუნიკაციას და ინფორმაციის დაცულ დამუშავებას. განახლებული სისტემა მნიშვნელოვნად ზრდის შეტყობინებების მიწოდების ხელმისაწვდომობას და რეაგირების ეფექტიანობას.

მანდატის სრულყოფილი განხორციელების მიზნით განხორციელდა სამართლებრივი ჩარჩოსა და საერთაშორისო პრაქტიკის ფართომასშტაბიანი კვლევა, მომზადდა მამხილებელთა დაცვის მექანიზმების ეფექტიანობის ანალიზი და დაინერგა შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურები. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ბიუროს მიენიჭა



უფლება მამხილებლისთვის სამართლებრივი და ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის და ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოებისთვის გადაგზავნის. ასევე დამტკიცდა მხილების განცხადების განხილვისა და დაცვის ღონისძიებების გამოყენების ინსტრუქცია.

მექანიზმის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანი იყო ცნობიერების ზრდა, რის მიზნით განხორციელდა ტრენინგები, საგანმანათლებლო აქტივობები და საერთაშორისო თანამშრომლობა. ბიურო გაწევრიანდა კეთილსინდისიერებისა და მამხილებელთა დაცვის ევროპულ ქსელში (NEIWA), რაც უზრუნველყოფდა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და სისტემის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.

საანგარიშო პერიოდში მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და ინფორმაცია გადაეგზავნა კომპეტენტურ ორგანოებს შემდგომი სამართლებრივი შეფასებისთვის. შედეგად ჩამოყალიბდა მხილების ადმინისტრირების პრაქტიკული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს შეტყობინების მიღების, შეფასებისა და გადამისამართების გამართულ პროცესს.

2025 წელს ბიუროს მიერ დამტკიცდა საჯარო დაწესებულებაში მხილების განცხადების განხილვისა და მამხილებლის დაცვის ღონისძიებების გამოყენების ინსტრუქცია. ანტიკორუფციულმა ბიურომ 2025 წელს შემოსულ 37 განცხადებასთან/საჩივართან დაკავშირებით განახორციელა შემდეგი რეაგირება:

- 30 განცხადება/საჩივარი გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას;
- 1 განცხადება გადაეგზავნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;
- 1 განცხადება გადაეგზავნა შესყიდვების ეროვნულ სააგენტოს;
- 1 განცხადება გადაეგზავნა შრომის შრომის ინსპექციასა და განათლების სამინისტროს;
- 2 განცხადება გადაეგზავნა თბილისის მერიას;
- 1 განცხადება გადაეგზავნა ცესკოს;
- 1 განცხადება გადაეგზავნა პროკურატურას, შრომის ინსპექციასა და განათლების სამინისტროს.

განხორციელებულმა საქმიანობამ შექმნა ფუნქციონალური და ტექნოლოგიურად დაცული სისტემა, რომელიც წარმოადგენს მამხილებელთა დაცვის ინსტიტუციურ საფუძველს და უზრუნველყოფს კორუფციული ფაქტების გამოვლენის მდგრად მექანიზმს შესაბამისი უფლებამოსილების შემდგომი განხორციელებისთვის.

8. საერთაშორისო ურთიერთობები

8.1. ანტიკორუფციული ბიურო როგორც ეროვნული კოორდინატორი

კანონის თანახმად, ბიურო წარმოადგენდა საერთაშორისო ანტიკორუფციულ საკითხებში საქართველოს ეროვნულ კოორდინატორს.



საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქსელებთან აქტიურმა თანამშრომლობამ საშუალება მოგვცა უშუალოდ მიგველო მონაწილეობა გლობალური ინიციატივებისა და პროგრამების განხორციელებაში, ასევე, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით ხელი შეგვეწყოს საქართველოს ანტიკორუფციული სამართლებრივი ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესთან.

GRECO

საქართველო კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (შემდგომში - GRECO) ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა და 1999 წლიდან დღემდე მისი წევრია, ამ ორგანიზაციის რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის მიხედვით კი ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოს წარმოადგენს.

GRECO-ს საქართველოს შეფასების მე-5 რაუნდის ფარგლებში გაცემულ 27 რეკომენდაციასთან დაკავშირებით სრულად დამუშავდა სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა (26 ქვეყნის) და მომზადდა კვლევითი დოკუმენტი. დოკუმენტის მომზადების პროცესში კომუნიკაცია შედგა შემდეგ უწყებებთან: საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს, რომლის მიზანია კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO)-ს მიერ საქართველოს მიმართ შეფასების მე-5 რაუნდის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების პირველი ნაწილის (კორუფციის პრევენცია უმაღლესი აღმასრულებელი ფუნქციის მქონე პირებში (PTEF)) შესრულების ეფექტიანი დაგეგმარების ხელშეწყობა.

პრაქტიკის ანალიზისას წარმოჩენილია წვერი სახელმწიფოების მიერ რეკომენდაციის შესრულება ორი შესაბამისობის ანგარიშის მანძილზე, კერძოდ, GRECO-ს შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შესრულება როგორც პირველ, ასევე მეორე შესაბამისობის ანგარიშებში.

კვლევის საფუძველზე შემუშავდა GRECO-ს რეფორმების პასპორტი.

UNCAC

კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (UNCAC) იმპლემენტაცია სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ამოცანაა, რადგან აღნიშნული კონვენცია წარმოადგენს საყოველთაოდ რატიფიცირებულ ერთადერთ უნივერსალურ ინსტრუმენტს.

2025 წელს უზრუნველყოფილ იქნა კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (UNCAC) შესრულების შეფასების (IRM) მე-2 ციკლის შედეგებზე საქართველოსთან დაკავშირებით დოკუმენტის მომზადების პროცესის კოორდინაცია და შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის შედეგად ინფორმაციის მიწოდება და მომზადებულ დოკუმენტზე დამატებითი კომენტარების წარდგენა. დოკუმენტის მომზადებაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა უწყებები.

8.2. საერთაშორისო ქსელები



ბიურო უზრუნველყოფდა საერთაშორისო ქსელებთან: „კეთილსინდისიერების საერთაშორისო ქსელი“ (Network for Integrity); „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელი“ (The European Partners against Corruption/EPAC); „კეთილსინდისიერებისა და მხილების ევროპული ქსელი“ NEIWA (Network of European Integrity and Whistleblowing Authorities), მუდმივ კოორდინაციასა და შესაბამის აქტივობებში მონაწილეობას.

2025 წლის ივნისში ბელგიის სამეფოში, ქალაქ ბრიუსელში, „კეთილსინდისიერებისა და მხილების ევროპული ქსელის“ (NEIWA) რიგით მე-10 ასამბლეაზე, საქართველო, კენჭისყრის გზით, „NEIWA“-ს მმართველი ბორდის წევრად აირჩიეს.

ბიურო უზრუნველყოფდა EPAC/EACN-ის სამდივნოსთვის NEWSLETTER-ების გაგზავნისა და განახლების პროცესს ანტიკორუფციული ბიუროს აქტივობების შესახებ.

2025 წლის 19–22 თებერვალს, ჰააგაში, EUROPOL-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე ანტიკორუფციული ბიურო წარმოდგენილი იყო ბიუროს წარმომადგენლის მიერ.

8.3. ორმხრივი საერთაშორისო ურთიერთობები

დაინიცირდა მემორანდუმები რეგენსბურგის უნივერსიტეტთან, ანდალუსიის თაღლითობასთან ბრძოლის ოფისთან და უზბეკეთის რესპუბლიკის ანტიკორუფციული სააგენტოსთან. ხოლო მემორანდუმის გაფორმების შესახებ შედგა შეთანხმება არაბთა გაერთიანებული საამიროების ანგარიშვალდებულების სამსახურთან, ლიეტუვას რესპუბლიკის გენერალურ პროკურორთან; ჰონგ-კონგის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) დამოუკიდებელ ანტიკორუფციულ კომისიასთან (Independent commission against corruption-ICAC).

გაიმართა შეხვედრები:

- გერმანიის ელჩთან საქართველოში, ერნსტ პეტერ ფიშერსთან; ბრიტანეთის ელჩთან საქართველოში, გარეტ უორდსთან; ავსტრიის ელჩთან საქართველოში, რობერტ გერშნერსთან; ისრაელის ელჩთან, ვალიდ აბუ-ჰაიასთან.
- 2025 წლის 27 მარტს, ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქ. ბრაზილიაში, ოფიციალური სამუშაო შეხვედრა ბრაზილიის გენერალური მაკონტროლებელი სამსახურის პრეზიდენტ, მინისტრ ვინისიურ მარკეს დე კარვალიოსთან.
- 2025 წლის 17 აპრილს, საქართველოში აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) დირექტორთან, ჯეიმი შაფელბარგერსა და იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივ მრჩეველთან, ჩარლზ შმიცსთან;
- 2025 წლის 5 მაისს, ქალაქ რომში, იტალიის ეროვნულ ანტიკორუფციულ ორგანოსთან (ANAC);
- 2025 წლის 25 ივლისს, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელმა, როგორც ანტიკორუფციული სტრატეგიის ძირითად მიმართულებაზე, კორუფციული ფაქტების მხილების მნიშვნელობასა და ადგილობრივი



თვითმმართველობების როლზე ისაუბრა მამხილებლის ინსტიტუტის გაძლიერებასა და დესტიგმატიზაციის პროცესში.

- 2025 წლის 19 სექტემბერს ანტიკორუფციული ბიურო ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჰონგ-კონგში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), სადაც გაიმართა შეხვედრა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული კომისიის (Independent commission against corruption- ICAC) ხელმძღვანელთან, ვუ ინგ-მინგთან.
- 2025 წლის 20 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა არაბთა გაერთიანებული საამიროების ანგარიშვალდებულების სამსახურის ხელმძღვანელთან, ჰუმაიდ ობაიდ აბუშობთან.
- 2025 წლის 21-22 სექტემბერს ჰონგ-კონგის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) იუსტიციის მინისტრთან, ლამ ტინგ-კვოკ პოლთან და გენერალურ პროკურორთან, იანგ მეი კეი მეგსთან გაიმართა შეხვედრა. ანტიკორუფციული ბიუროს დეველოპერების გუნდი მონაწილეობდა საერთაშორისო ანტიკორუფციული ჰაკათონის ფინალში, რომელიც ჰონგ-კონგში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) გაიმართა.
- 2025 წლის 23-24 სექტემბერს შეხვედრა განხორციელდა საფრანგეთის საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის უმაღლეს ორგანოსთან (HATVP); საფრანგეთის ანტიკორუფციული სააგენტოსთან და საფრანგეთის სახალხო დამცველთან.

8.4. საერთაშორისო კვლევებით სხვადასხვა მიმართულებების მხარდაჭერა

ბიურომ შეისწავლა და ანალიტიკურად დაამუშავა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა ანტიკორუფციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების მიხედვით და მოამზადა შესაბამისი შიდა კვლევითი დოკუმენტები. კვლევები მოიცავდა ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტებს, ეთიკის კოდექსებს, ინტერესთა შეუთავსებლობისა და ინტერესთა დეკლარირების სისტემებს, ქონებრივი დეკლარაციების საჯაროობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას, საჯარო მოხელეებისთვის კონფიდენციალური საკონსულტაციო მექანიზმებს, რისკებზე დაფუძნებულ დეკლარაციების შემოწმების მოდელს, აგენტების რეგისტრაციის სამართლებრივ ჩარჩოებსა და აღსრულების მექანიზმებს (11 ქვეყნის პრაქტიკა), აგენტთა რეესტრებსა და მამხილებელთა დაცვის მექანიზმებს.

ამავე პერიოდში ბიურო მონაწილეობდა ანტიკორუფციული სტრატეგიის მონიტორინგის პროგრამის - „ბარომეტრის“ - კონცეფციის შემუშავებასა და შესაბამისი პროგრამის პროტოტიპის შექმნაში.

8.5. ანგარიშვალდებულება

ბიურომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვისა და მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში, ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლის მიხედვით დაგეგმა აქტივობები და წარადგინა შესრულების შესახებ სამოქმედო გეგმები და კვარტალური ანგარიშები. ასევე წარადგინა წლიური ეროვნული პროგრამის (ANNUAL NATIONAL PROGRAMME - ANP) ფარგლებში სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიშები და მოამზადა PAR-ის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.



9. სტრატეგიული კომუნიკაციები

ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირებულობა და ნდობა, რის უზრუნველსაყოფად საქმიანობა მიმართული იყო ბიუროს მოქმედებების გამჭვირვალობის, დროული და სანდო საჯარო კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ინსტიტუციური დიალოგის გაძლიერებისკენ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ანტიკორუფციული რეფორმებისა და პრიორიტეტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას, მაღალი საჯარო ინტერესის საკითხებზე სანდოობის შენარჩუნებას და დეზინფორმაციის პრევენციას, განსაკუთრებით პოლიტიკურად აქტიურ პერიოდებში.

ამ მიმართულებით უზრუნველყოფილი იყო საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გავრცელება და კომუნიკაციის სისტემური მართვა, მედიისა და საზოგადოების დროული ინფორმირება ბიუროს გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე, დეზინფორმაციული ნარატივების დროული გამოვლენა და მათზე რეაგირება, ასევე საჯაროობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება როგორც ციფრულ, ისე ტრადიციულ საკომუნიკაციო არხებში. ძირითადი მიზანი იყო საზოგადოების ოპერატიული, სრულყოფილი და სანდო ინფორმირება, ერთიანი კომუნიკაციის სტანდარტის ჩამოყალიბება და ინსტიტუციური ნდობის გაძლიერება.

საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი იყო ოფიციალური საინფორმაციო არხების გამართული ფუნქციონირება და ადმინისტრირება. ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე სისტემატურად ქვეყნდებოდა სამართლებრივი აქტები, ოფიციალური განცხადებები და მიმდინარე საქმიანობის შესახებ სიახლეები, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში პროაქტიულად გამოქვეყნდა 2024 წლის საქმიანობის ანგარიში, რაც საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას ემსახურებოდა.

აქტიურად ხორციელდებოდა სოციალური მედიის პლატფორმების - Facebook-ის, LinkedIn-ის, X-ისა და YouTube-ის - მართვა, მათ შორის ხელმძღვანელის პერსონალური ანგარიშების ადმინისტრირებაც. გამოქვეყნდა 99 პოსტი, 4 ბრიფინგის შესახებ ინფორმაცია და 7 ვიდეორგოლი, ხოლო ინფორმაციის ფართო გავრცელების მიზნით განხორციელდა 61 პოსტის ფასიანი გავრცელება. მოქალაქეთა ინფორმირება დამატებით მიმდინარეობდა „Messenger“-ის საშუალებით კითხვა-პასუხის რეჟიმში, ხოლო ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია პარალელურად თავსდებოდა ოფიციალურ ვებგვერდზე.

ყოველდღიურად ხორციელდებოდა მედიამონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც მუშავდებოდა დაახლოებით 250–300 საინფორმაციო მასალა, ტარდებოდა მედიის ტენდენციების ანალიზი და ხდებოდა დეზინფორმაციულ ნარატივებზე ოპერატიული რეაგირება. მიღებული ინფორმაცია სისტემატურად მიეწოდებოდა ხელმძღვანელობასა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

მედიასთან ურთიერთობის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყო ჟურნალისტების ჩართულობა ღონისძიებებსა და ბრიფინგებში. საანგარიშო პერიოდში გაიმართა 4 ბრიფინგი და 22 სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო უწყებების, დიპლომატიური კორპუსის,



არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან, უზრუნველყოფილი იქნა როგორც ტექნიკური ორგანიზება, ისე საინფორმაციო მხარდაჭერა.

ასევე განიხილებოდა კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენცია, მზადდებოდა პასუხებისა და დასკვნების პროექტები, ოფიციალური განცხადებები და საინფორმაციო მასალები, პარალელურად კი იქმნებოდა ფოტო-ვიდეო მასალა, გრაფიკული და საპრეზენტაციო პროდუქტები და ხორციელდებოდა მათი სისტემური არქივირება.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო ინფორმაციის დროული და სრულყოფილი გავრცელება, საჯაროობის მაღალი სტანდარტის დაცვა და დეზინფორმაციის ეფექტიანი პრევენცია, რაც საბოლოოდ ემსახურებოდა საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას და ინსტიტუციური ნდობის განმტკიცებას.

10. ტექნოლოგიური განვითარების და უსაფრთხოების დეპარტამენტი

ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობაში ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დანერგვა განიხილებოდა როგორც ინსტიტუციური ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა. ბიუროს ხედვა ეფუძნებოდა პროცესების ციფრულ ტრანსფორმაციას, რაც უზრუნველყოფდა ადმინისტრაციული პროცედურების სტანდარტიზაციას, მონაცემთა ოპერატიულ დამუშავებასა და გადაწყვეტილებების მიღების ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, როგორც საჯარო ინტერესის დაცვის მნიშვნელოვან კომპონენტს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული პლატფორმების შექმნა და განვითარება, რომლებიც ორიენტირებულია როგორც სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაზე, ისე მოქალაქეთა ინფორმირებულობის ზრდასა და მომსახურების ხელმისაწვდომობაზე.

შეიქმნა უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის ელექტრონული პორტალი (FARA), რომელიც უზრუნველყოფს სუბიექტების მიერ რეგისტრაციის, დეკლარირებისა და ანგარიშგების პროცესის სრულად ელექტრონულ ფორმატში განხორციელებას. პორტალში ინტეგრირებულია მონაცემთა შევსების სტანდარტიზებული ფორმები, თანდართული დოკუმენტაციის ატვირთვის ფუნქციონალი, სტატუსის მონიტორინგის მექანიზმი და ადმინისტრაციული კომუნიკაციის არხი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ადმინისტრაციულ ბარიერებს და ზრდის პროცესის გამჭვირვალობას.

ანალოგიური პრინციპით შეიქმნა უცხოური გრანტების რეესტრი, რომელიც წარმოადგენს საჯარო ხელმისაწვდომობის ელექტრონულ ბაზას. რეესტრი უზრუნველყოფს გრანტის მიმღები სუბიექტების, დონორების, თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ ინფორმაციის ერთიან სივრცეში თავმოყრას, სისტემატიზაციასა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული პლატფორმა ხელს უწყობს ფინანსური ნაკადების გამჭვირვალობის ზრდას და მონიტორინგის პროცესის გამარტივებას.



განახლდა მხილების ვებგვერდი, სადაც დაინერგა უსაფრთხო ელექტრონული შეტყობინების ფორმა, ანონიმურობის დაცვის მექანიზმები და კომუნიკაციის დაცული არხი განმცხადებელსა და ბიუროს შორის. პლატფორმა დამატებით შეიცავს განმარტებით მასალებს, პროცედურულ ინსტრუქციებსა და ხშირად დასმული კითხვების მოდულს, რაც ზრდის ინსტიტუტის ხელმისაწვდომობასა და ნდობას.

მნიშვნელოვნად განახლდა საჯარო მოსამსახურეთა რეესტრი - გაფართოვდა მონაცემთა სტრუქტურა, დაინერგა საძიებო და ფილტრაციის ფუნქციები, უზრუნველყოფილი იქნა უწყებათაშორისი მონაცემთა გადამოწმების შესაძლებლობა. რეესტრი გახდა ინფორმაციის ცენტრალიზებული წყარო საჯარო სექტორში დასაქმების შესახებ.

დამატებით შეიქმნა მედია მონიტორინგის სისტემა, რომელიც ავტომატიზებულ რეჟიმში აგროვებს და აანალიზებს საჯარო სივრცეში გავრცელებულ ინფორმაციას კორუფციული რისკების იდენტიფიცირების მიზნით, ხოლო სიტუაციური ანალიზის კითხვარის მოდული უზრუნველყოფს რისკებზე დაფუძნებული შეფასებების სტრუქტურირებულ შეგროვებასა და დამუშავებას.

დეპარტამენტმა ასევე უზრუნველყო ყველა პლატფორმის ტექნიკური მხარდაჭერა, მომხმარებელთა დახმარების ელექტრონული არხების ფუნქციონირება და მონაცემთა გაცვლის მექანიზმების განვითარება სახელმწიფო უწყებებთან, რაც უზრუნველყოფს სისტემების პრაქტიკულ გამოყენებადობას.

ინფორმაციის დაცვის მიმართულებით დაინერგა მრავალდონიანი უსაფრთხოების მექანიზმები, მათ შორის წვდომის კონტროლი, ავტორიზაციის მართვა, მონაცემთა შიფრაცია და სისტემების რეგულარული უსაფრთხოების ტესტირება. აღნიშნული ზომები უზრუნველყოფს პლატფორმებზე განთავსებული მონაცემების დაცვას არასანქცირებული წვდომისა და კიბერინციდენტების შემთხვევაში.

მიუხედავად ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების მიმართულებით არსებული გამოწვევებისა, შესაძლებელი გახდა ფუნქციონირებადი ელექტრონული ეკოსისტემის შექმნა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბიუროს მიერ ადმინისტრირებული პროცესების ოპერატიულობა და სანდოობა და შექმნა ციფრული მმართველობის მდგრადი საფუძველი.

11. ანტიკორუფციული ბიუროს ფინანსური ანგარიში

კანონის 20²¹ მუხლის მეორე პუნქტის და ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის №1 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანტიკორუფციული ბიუროს დებულების მე-19 მუხლის შესაბამისად, ბიუროს დაფინანსების წყაროებია:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

ანტიკორუფციული ბიუროს სახელმწიფო ბიუჯეტი 2025 წელს შეადგენდა 13 200 000 ლარს.



ანტიკორუფციული ბიუროს მიერ 2025 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით გაწეულმა ხარჯებმა ჯამში 9 223 380.13 ლარი შეადგინა, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება – 3 387 060.70 ლარი;
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება – 2 850 406.29 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 415 390.00 ლარი.

2025 წლის განმავლობაში გაფორმდა:

ანტიკორუფციული ბიუროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით გაფორმდა 102 ხელშეკრულება.

12. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2024 წლის განმავლობაში ბიუროში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით შემოვიდა 260 წერილი, რომლებზეც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში, გაცემულ იქნა შესაბამისი პასუხები.